პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ORGAN ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ოთხშაბათი 27 ოქტომბერი № 253 (16683) ფასი 2 კაპ. 1976

მუშაობა დაამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა

პლენუმმა კრიტიკულად მოიწონა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები.

მთლიანად და სავსებით იქნა მოწონებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობა პარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიური პროგრამისა და საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზაციისათვის, დებულებანი და დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1976 წლის 26 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი განაგრძობდა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმის, სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხებისა და სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხის განხილვას.

ამ საკითხებზე კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: გ. ვ. რომანოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ვ. კოვალენკო — სკკპ ორენბურგის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რ. ფ. გოროშაევა — როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „ზოლოტარევსკის“ მესიმინდეთა მერგოლური, მ. ბ. გაფუროვი — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პ. თ. ლომაკო — სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის მინისტრი, თ. ტ. მორგუნი — უკრაინის კომპარტიის პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. მესიაცი — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, გ. ი. მარჩუკი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების თავმჯდომარე. გ. ლ. მიხაილოვი — ხარკოვის ვ. ა. მალიშევის სახელობის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნის ხარატი. ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კ. ნ. რუდნევი — ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა მინისტრი.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილება. რომელიც პრესაში ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები:

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად აირჩია ამხ. ი. პ. რიაბოვი.

პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატობიდან წევრებად გაიყვანა ამხანაგები ვ. ს. კარლოვი, კ. ნ. ბელიაკი, თ. ტ. მორგუნი.

ამით ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების შესახებ

ძირითადად მოწონებულ იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები და შეტანილ იქნას ისინი სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს სესიის განსახილველად.

მთლიანად და სავსებით იქნას მოწონებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს საქმიანობა პარტიის XXV ყრილობის მიერ შემუშავებული სოციალურ-ეკონომიური პროგრამისა და საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზაციისათვის, დებულებანი და დასკვნები, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში.

წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, ყველა პარტიულ ორგანიზაციას განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყონ 1976 წლის დავალებათა წარმატებით შესრულება, 1977 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის უთუოდ განაღდება. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საწარმოო კოლექტივების მიერ შემხვედრი გეგმების და გადიდებული სოციალისტური ვალდებულების მიღებასა და რეალიზაციას. საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების მეცადინეობის წარმართვას იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომ ყოველნაირად აამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში. აამოქმედონ ყველა არსებული რეზერვი და შესაძლებლობა, რათა დააჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უფრო ფართოდ გამოიყენონ მოწინავე გამოცდილება, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გაადიდონ პროდუქციის გამოშვება და გააუმჯობესონ მისი ასორტიმენტი და ხარისხი, გააფართოონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. განუხრელად იღვწოდნენ შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალური, ეკონომიური მოხმარებისათვის, აამაღლონ კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მშრომელს უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ წარმატებით შეასრულონ მეათე ხუთწლედის დავალებანი და ამით უზრუნველყონ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცება, ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი აღმავლობა.

პარტიის გეგმები, ხალხის გეგმებია

სამშობლოს იმედებს გავამართლებთ!

უდიდესი ინტერესით

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში მშრომელები უდიდესი ინტერესით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის 25 ოქტომბრის პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას. ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტს მიეძღვნა მიტინგები, კრებები, პოლიტიკური კითხვის ხალამოები.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ გამოიწვია მშრომელთა დიდი კმაყოფილების, პარტიისადმი მადლიერების გრძნობა, ხალხი მხურვალედ იწონებს პარტიის საგარეო და საშინაო პოლიტიკას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეები და მუშები, მეცნიერულ-ტექნიკური, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები უგზავნიან წერილებსა და დეპეშებს, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სიტყვაში წამოყენებულ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც მოქმედების საბრძოლო პროგრამად მიაჩნიათ, გამოხატავენ მისწრაფებას, რომ უფრო თავდადებით იბრძოლონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის.

(საქინფორმი).

მმ და ჩემი კოლეგები დიდი ინტერესით გავეცანით ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას. მას პროგრამული მნიშვნელობა აქვს ხანგრძლივ წლებში მრავალი მილიონი საბჭოთა ადამიანის პრაქტიკული საქმიანობისათვის. და თვითონვე ჩვენგანმა ამ სიტყვის დებულებებიდან უნდა გამოიტანოს დასკვნები პირადად თავისათვის, განსაზღვროს თავისი ამოცანები, მათ გადაწყვეტას დაუქვემდებაროს მთელი თავისი საქმიანობა.

ჩვენს ახალგაზრდა ინდუსტრიულ ცენტრში გრძელდება დიდი მშენებლობა. ფართოვდება საწარმოო სიმძლავრეები, შენდება ბინები, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ჩვენი ტრესტის კოლექტივი აძლიერებს სამშობლოს ტემპს. მიმართა რა მშენებლებს, ამხანაგმა ბრეჟნევმა თქვა: „სამშობლოს მოელის, რომ თქვენ გვიჩვენებთ ორგანიზებული შრომის ნიმუშებს და პირნათლად შეასრულებთ საგეგმო დავალებებს. იმაზე, ამხანაგებო, თუ როგორ იმუშავებთ თქვენ, ბევრად იქნება დამოკიდებული მთელი ხუთწლედის ბედი“. ეს ძალზე ბევრს გვავალებს.

მომდინარე წელს ჩვენმა ტრესტმა არცთუ ცუდად იმუშავა. მწყობრში ჩაყენებულია დიდმნიშვნელოვანი საწარმოო სიმძლავრენი, ჩვენ ახლო ვართ იმასთან, რომ, როგორც ვიკისრეთ, ვადამდე, 7 ნოემბრისათვის შევასრულოთ საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური პროგრამა. საჭიროა კიდევ უფრო დავაჩქაროთ სამუშაოთა ტემპი და უზრუნველვყოთ მათი მაღალი ხარისხი.

სამშობლოს ჩვენი იმედი აქვს და ყველაფერს ვიღონებთ, რათა პირნათლად გავამართლოთ ეს იმედები.

ო. პატიაშვილი,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამიერკავკასიის მეტალურგშენის № 1 ტრესტის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

მილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ სათავო ქარხანა „ელექტროგამშვების“ საამწყობო საამქროს მუშები ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვას.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხუთწლედის მძლავრი ნაბიჯები

საქართველოს სსრ მრეწველობის სახელმწიფო გეგმის შესრულების 1976 წლის ცხრა თვის შედეგების შესახებ

მრეწველობის მუშაკებმა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის იბრძვიან, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, გადიდებული დამატებითი ვალდებულებანი იკისრეს და ახალ საწარმოო წარმატებებს მიაღწიეს.

პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის, პროდუქციის წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის, აგრეთვე მეტ წილ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების ცხრა თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. გეგმის გადამეტებით არის რეალიზებული 103 მილიონი მანეთის პროდუქცია და წარმოებულია 102 მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,6 პროცენტი შეადგინა, მაშინ როცა წლიური გეგმით გათვალისწინებულია 4,7 პროცენტი. შრომის ნაყოფიერება 4,7 პროცენტით გაიზარდა. შესრულდა მრეწველობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმა.

უპირატესი ტემპით ვითარდებოდა ელექტროენერგეტიკა, ნავთობმომპოვებელი მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, სამედიცინო და მიკრობიოლოგიური მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, კომბინირებული საკვების მრეწველობა.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საოჯახო საქონლის წარმოება 5 პროცენტით გაიზარდა.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულების, წარმოების მოცულობის და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის მაჩვენებლებმა ცალკეულ სამინისტროების მიხედვით შეადგინა:

	პროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის შესრულების პროცენტი	1976 წლის ცხრა თვე პროცენტობით 1975 წლის ცხრა თვესთან შედარებით	
		წარმოების მოცულობა	შრომის ნაყოფიერება
ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	101	109	109
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	96	102	102
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	101	106	105
კვების მრეწველობის სამინისტრო	102	104	103
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	104	106	105
დამზადების სამინისტრო	108	105	103
მშენებლობის სამინისტრო	99	105	106
სასოფლო მშენებლობის სამინისტრო	98	120	102
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	105	103	106

(გაგრძელება მე-2 გვ.).

26 ოქტომბერი

„პრავდის“ ფურცლებზე

გაზეთი იხსნება საინფორმაციო ცნობით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, რომელმაც მოისმინა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ნ. კ. ბაიბაკოვის მოხსენება „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმა და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმა“ და „სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ამხ. ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება „სსრ კავშირის 1977 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და სსრ კავშირის 1975 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“. პლენუმზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. სიტყვას გაზეთი ბეჭდავს პირველ, მეორე და მესამე გვერდებზე. მესამე გვერდზე მკითხველები გაეცნობიან განყოფილებაში — **„ოქტომბრის შესახვედრად“** წარმოდგენილ მასალებს, რომლებიც გვამცნობენ ჩვენი ქვეყნის სულ სხვადასხვა კუთხის მშრომელთა წარმატებებს მეათე ხუთწლედის პირველი წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში.

კინემატოგრაფისტთა რამდენიმე თაობა აღუზრდია გამოჩენილ საბჭოთა კინორეჟისორს, სოციალისტური შრომის გმირს, პროფესორ ს. გერასიმოვს. მეოთხე გვერდზე „პრავდა“ ბეჭდავს ს. გერასიმოვის სუბარს „პრავდის“ კორესპონდენტთან კინოს დარგში შემოქმედებითი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე. ამავე და მეხუთე გვერდზე წარმოდგენილია საზღვარგარეთის ცხოვრების ამსახველი მასალები.

ხუთწლედის მძლავრი ნაბიჯები

(დასასრული)

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებამ და საბრუნველო წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპმა ქალაქ თბილისში, აგტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში შეიტანეს:

	პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება %	1976 წლის იანვარ თვე პროცენტობით 1975 წლის ცხრა თვესთან შედარებით: წარმოების მოცულობა	ნაყოფიერების ზრდის ტემპი
ქ. თბილისი	103	106	105
აფხაზეთის ასსრ	102	104	107
აჭარის ასსრ	103	105	103
სამხრეთ ოსეთის აგტონომიური ოლქი	104	106	108

უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოებას მთლიანად რესპუბლიკაში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წარმოებული 1976 წლის ცხრა თვეში	1976 წლის ცხრა თვე 1975 წლის ცხრა თვესთან შედარებით: მოცულობით	ნაყოფიერების ზრდის ტემპი (—)
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკ-სადგურები) — მილიონი კილოვატ-საათი	8934	105	462
ნავთობი — ათასი ტონა	554	402	416
ქვანახშირი — ათასი ტონა	1454	94	—100
მონგნეტის მადანი — ათასი ტონა	1388	100,7	9,2
თუჯი — ათასი ტონა	596	101	7,6
ფოლადი — ათასი ტონა	1106	100,6	6,2
შავი ლითონების ნაგლინი — ათასი ტონა	996	100,4	3,9
მილი შრახის მზა ნაგლინი	932	101	11,3
ფოლადის მილები:			
მილობრივი მეტრი	21,3	103	0,7
ათასი ტონა	389	100,2	0,7
მინერალური სასუქები — ათასი ტონა: აზოტოვანი ერთეული	521	101	5,2
ეუთაინ ნიტროეტრაბოთა 100-პროცენტიან შეცვლელობაზე გადაანგარიშებით	107	101	1,1
ქიმიური ბოჭკოები — ათასი ტონა	10,9	98	—0,2
ცვლადი დენის ელექტროძრავები — ათასი კილოვატი	59,5	158	21,9
ლითონსაჭრელი ჩარხები: ცალი	3073	100,9	29
მილიონი მანეთისა	23,3	109	1,8
ხიმგასტრალი ელმავლები: ცალი	89	103	3
ათასი ცხენის ძალა	632	103	21
სატვირთო აგტომობილები — ათასი ცალი	14,2	105	0,6
აგტომობილების სათადარიგო ნაწილები — მილიონი მანეთისა	14,4	105	0,6
ქსოვილები — ათასი ტონა	22,9	87	—3,6
ცემენტი — ათასი ტონა	1244	99,4	—8
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები (საკავშირო მნიშვნელობის ორგანიზაციების მიერ წარმოებულის გარდა) — ათასი კუბური მეტრი	941	107	62,0
შალეტრი — მილიონი პირობითი ფილა	53,2	103	1,6
ეკონომიკა სახეობის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	81,0	104	3,2
ბამბისა	42,4	105	2,2
აბრეშუმისა	32,8	103	0,8
შალისა	5,8	103	0,2
წინდა — მილიონი წყვილი	19,1	107	1,3
ტრიკოტაჟის საცვლები — მილიონი ცალი	15,9	106	0,9
ზედა ტრიკოტაჟი — მილიონი ცალი	10,3	98	—0,2
ტყავის ფეხსაცმელი — მილიონი წყვილი	10,5	105	0,5
ხორცი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	43,4	89	—5,5
ძეხვეული — ათასი ტონა	18,4	116	2,6
ცხიმიანი ყველი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	16,3	105	0,8
კონსერვები (საბჭოთა მეურნეობების წარმოების გარდა) — მილიონი პირობითი ქილა	220,4	97	—6,4
მცენარეული ზეთი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	4,9	41	—7,0
მინერალური წყლები — მილიონი ნაბეჭდი ლიტრა	340	103	28,3
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	16,4	102	0,3
კარაქი (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ტონა	1024	103	29,0
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით (სახელმწიფო რესურსების ნედლეულიდან) — ათასი ტონა	117,2	100,9	1,0
ნატურალური სორტული ფეტასო�ული ჩაი — ათასი ტონა	26,8	109	2,3
ყურძნის ღვინო (კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა) — მილიონი დეკალიტრი	13,6	109	1,2
შამპანური — ათასი ბოთლი	11622	105	553
ბაბორისი და სიგარეტი — მილიონი ცალი	12,8	100,97	0,1
ავეჯი — მილიონი მანეთისა	51,9	110	4,6

მრეწველობის განვითარების განვლილი პერიოდის დადებითი შედეგების დროს ზოგიერთი სამინისტროს, გაერთიანებისა და საწარმოს მუშაობაში შეიმჩნეოდა ნაკლოვანებანი: ქიმიური ბოჭკოს, ქაღალდის, ცემენტის, ბამბისა და მატის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლის, ხორცის, მცენარეული ზეთის, კონსერვებისა და ზოგიერთი სხვა სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა. ცალკეულმა გაერთიანებებმა და საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის და ღირებულების გეგმები და ვერ უზრუნველყვეს საჭირო ასორტიმენტისა და სათანადო ხარისხის ნაწარმის გამოშვება.

გრძელდებოდა წარმოების შემდგომი ხელახალი ტექნიკური განაახლება. ხორცეულეფრბოდა საწარმო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ინერგებოდა უფრო სრულყოფილი ტექნიკური პროცესები. 1975 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ელექტროენერგიის წარმოებისათვის შემცირდა სათბობის ხვედრითი ხარჯვა, ამაღლდა ბრძნედებისა და მოწყობილობის მწარმოებლობა ცემენტისა და მრეწველობის სხვა დარგებში.

საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა ათვისეს და დაიწყეს თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი 120 ახალი სახეობის ნაწარმის გამოშვება. ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიღებული აქვს 294 ნაწარმს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

ამის შესახებ იყო ლაპარაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

სიახლე, რამაც მოწონება, მხარდაჭერა კი ჰპოვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ხილის, ბოსტნეულისა და სხვა ისეთი პროდუქციის წარმოებისა და შენახვისათვის, რომელიც ყალე ფუჭდება, შეიქმნება საგარო გასაღის შექმნათ ახალი ორგანიზაციული ფორმები, განვამტკიცოთ დამამუშავებელ ორგანიზაციათა და გადამამუშავებელ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ასეთი გამოცდილება აქვთ მოლდავეთში, უკრაინაში, შუა აზიაში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ჩრდილოეთ კავკასიაში. მეგად ძვირფასია საბურნეოგანთავსებო ორგანიზაციათა და აგროსამრეწველო კოოპერატივების საფუძველზე ბოსტნეულისა და ხილის წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ღონისძიებანი“.

დღეს ჩვენ ვაქცევენ წერილს „მინდორი-მაღაზია“, რომელიც მკითხველს მოუთხრობს სიახლეზე, კონკრეტულ ნაბიჯებზე, მუშაობის გამოცდილებაზე, თუ როგორ შეიძლება სოფლის მეურნეობის დაკავშირება მომხმარებლებთან, სოფლის მეურნეობის საწარმოო-ეკონომიური თანამშრომლობის გაუჯობესება, აგროსამრეწველო კომპლექსის ყველა დარგის, ამ კომპლექსში შემავალი ყველა საწარმოსა და ორგანიზაციის ზუსტი ურთიერთმოქმედება.

ლენინური აგრარული პოლიტიკის ერთგული პარტია განუხრელად ახორციელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე დასახულ ხაზს, ოდგას ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული სოფლის მეურნეობის განვითარების ფართო კომპლექსური პროგრამის თანამიმდევრული შესრულების კურსს.

ამ პროგრამის მიხედვით სერიოზული და მნიშვნელოვანი ამოცანები დასახული რესპუბლიკის მებოსტნეთა წინაშეც. უკანასკნელი წლების მანძილზე დარგში სულ უფრო მეტადრდება განვითარების ინტენსიური გზა. რესპუბლიკის ბოსტნეულის კონვეიერის განუხრელი სრულყოფის ახალი მძლავრი სტიმული გახდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილება „სამეურნეობათშორისო კოოპერაციებსა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების შესახებ“. ეროფილ მებოსტნეობა-მერქნეეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტი შემავალა წინანდელი დაქსაქსულმა მრავალპროფილიანმა მეურნეობებმა თბილისსა და რუსთავის ხილბოსტნეულის საეჭარო ორგანიზაციებთან, სამ პატარა საკონსერვო ქარხანასთან ერთად შეადგინეს სწორედ ჩვენი გაერთიანების საფუძველი. ასე შეიქმნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება. მან უნდა შეისწავლოს რესპუბლიკაში ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის წარმოების, დამზადებისა და რეალიზაციის საკითხები, აწარმოოს მათი ნაწილობრივი გადამუშავება.

გაერთიანების შექმნა პროდუქციის წარმოების, ვაჭრობის, გადამუშავების ერთ „მერქვეშ“ ხელოვნური შეერთება კი არა, თვისებრივად ახალი სოციალური რესპუბლიკის ბოსტნეულის კონვეიერის შემდგომ სრულყოფაში.

იმას, რომ ამგვარი კოოპერაცია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი ინტენსიფიკაციის ყველაზე სწორი და ეფექტიანი ხერხია, მოწმობს შემდეგი ციფრები: წლეულს ჩვენმა გაერთიანებამ სახელმწიფოს 97.881 ტონა ბოსტნეული უნდა მიაყოდოს. 1 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს უკვე მიეყოდა 83.355 ტონა, ესე იგი წლიური გეგმა 85,1 პროცენტით შესრულდა. სახელმწიფოს გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით 21.180 ტონით მეტი ბოსტნეული მიეყიდა. ჩვენი გამოანგარიშებით, დარჩენილ დროში სახელმწიფოს კიდევ 30 ათასი ტონა ბოსტნეული მიეყიდება. წლიური გეგმა კი მთლიანად 15 ნოემბრისათვის შესრულდება.

ეს მაჩვენებლები მიღწეულია იმ დიდმნიშვნელოვანი პრობლემების წარმატებით გადაჭრისათვის გაწეული დიდი, მიზანდასახული მუშაობის შედეგად, რომლებიც ჩვენ წინაშე დგას მომავალი ხუთწლედში. ამ ამოცანათა სირთულესა და პასუხისმგებლობას კი მეტეორმეტყველურად მოწმობს შემდეგი: თუ შთლიანად სსრ კავშირში ხუთწლეულის მანძილზე გათვალისწინებულია 26,6 პროცენტით გაზრდილა ბოსტნეულის დამზადება, ხოლო საქართველოს სსრ ეროვნულ-ეკონომიკურ ინსტიტუტი ამ ... ...

ჟასეჯის კონტროლი!

№ 117

ერთეული ბიბლიოთეკა

ბრძოლა ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ნიშნავს, რომ ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყოველი შრომითი კოლექტივი უნდა იღვწოდეს უმაღლესი შრომის ნაყოფიერებისათვის, მკაცრად იცავდეს საწარმოო დისციპლინასა და მომჰირნეობის რეჟიმს, დღითიდღე აუმჯობესებდეს თავისი მუშაობის ხარისხს, პროდუქციის ხარისხს.

ლ. ი. ბრეჟნევი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

რატომ ჩაიშალა მშენებლობა?

შუახევის რაიონის ცაგმა-ვარჯანაულის სარწყავი არხის მშენებლობის თაობაზე თავისი დადგენილების მესრულებლებისა და ნაკლოვანებათა ადგილზე შემოწმებისა და ადგილობრივ ხელმძღვანელობის შესახებ იმსჯელეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის 1975 წლის 26 სექტემბრის დადგენილებას, რის შედეგადაც ცაგმა-ვარჯანაულის არხის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების ვადები ჩაშლილია.

ამ სამინისტროს „საქსახწყალპროექტში“ (დირექტორი გ. ღამბაშიძე) შეიარაღა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის გ. ქობულიას ბრძანება, რომელიც გამოცემული იყო ინსპექციის სახალხო კონტროლის კომიტეტის ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად. მშენებლობის დაარსებიდან, პროექტის განხილვა და მისი დამტკიცება 1976 წლის ივლისამდე გაჭიანურდა.

აღნიშნული სამინისტროს ტრესტმა „ალაზანმშენმა“ (მმართველი ა. ბერიძე) ვერ უზრუნველყო ობიექტზე სამუშაოთა წარმოების სათანადო ორგანიზაცია და მიმდინარე წლის განმავლობაში 262 ათასი მანეთის ნაცვლად მხოლოდ 34 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეასრულა.

ამრიგად, 1967 წელს დაწყებული სარწყავი არხის მშენებლობის დამთავრებისათვის დაწესებული ვადები პრაქტიკულად ჩაშლილია. ეს წელსაც ერთი მეტია, სამინისტრომ სარწყავი ინსტიტუტის პირველი რიგის მშენებლობა მიმდინარე წლის გეგმაშიც კი სიერთოდ არ შეიტანა.

ბატონ ასსრ შუახევის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა (თავმჯდომარე მ. ზოიძე) 1975 წლის ოქტომბერში აღნიშნული ობიექტის მშენებლობასა და დაპროექტებაში ნაკლოვანებათა და დარღვევათა გამოვლენის საქმეში ეარგი ინიციატივა გამოიჩინა. მაგრამ შემდეგ ეს ადგილობრივი ორგანოს არც კი აცნობა, რომ ობიექტის ფაქტიური ხელახლა მოახდინეს.

კომიტეტმა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაავალა მიღოს გადამჭრელი ზომები ცაგვა-ვარჯანაულის სარწყავი სისტემის მშენებლობის დამთავრების დასაჩქარებლად, მუდმივი კონტროლი დაწესოს მშენებლობის მიმდინარეობისადმი და ამ ობიექტზე არსებული მდგომარეობა ყოველთვიურად აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს.

ამასთან საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის დადგენილების შეუსრულებლობისათვის, რამაც გამოიწვია შუახევის რაიონის ცაგვა-ვარჯანაულის სარწყავი სისტემის პირველი რიგის დაპროექტებისა და მშენებლობის ვადაგადაცილება, ერ ბრალეულ მმართველ ა. ბერიძეს ეცემინა ბრალი, რომ ეს ობიექტი ინსტიტუტმა ვერ ჩააბარა ექსპლუატაციაში ორ წელიწადზე მეტი ხანია, ეს ობიექტი ჯერ-ჯერობით ვერ ამოქმედდა,

 პოეზიის დღე—რუსთაველის დღე

ლექსის ზეიმზე მესხეთში

ახალციხე. გასულ შაბათს, 23 ოქტომბერს დილიდან-ვე პოეზიის თაყვანისმცემლები შეიკრიბნენ რუსთაველის ძეგლთან, სადაც გაიმართა ტრადიციული პოეზიის დღე, — რუსთაველის დღე.

დედაქალაქიდან და რესპუბლიკის რაიონებიდან ჩამოსულმა სპეციალურ სტუმრებმა, რომელთა შორის იყვნენ მხატვრული სიტყვის ოსტატები, მეცნიერებისა და კულტურის დარგის მუშაკები, პარტიული და საბჭოთა ხელძღვანელები, დიდი მგოსნის კვარცხლბეკთან დაიკავეს ადგილი.

პარტიის ახალციხის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. გავაშელმა, მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა პოეზიის დღისადმი მიძღვნილი მიტინგი.

შეკრებილებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ქართული პოეზიის დღესასწაულის უცვლელი მონაწილის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის ბესარიონ ყიფიანის ხსოვნას.

შემდეგ მოისმინეს ავთანდილის ანდერძი „ვეფხისტყაოსნიდან", რომელიც წაიკითხა მესხეთის სახელმწიფო თეატრის მსახიობმა მ. ბინდიკურმა.

მასპინძლთაგან შეკრებილთ პოეზიის დღე მიუღოცეს ახალციხის მშრომელთა სახელით მუშამ მ. ბერიძემ, მასწავლებელმა ს. პოღოსიანმა, მოსწავლემ ნ. გასპარაშვილმა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ი. ნონეშვილი, აფხაზეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ი. თარბა, ლექსებს კითხულობენ პოეტები ნ. გაბრიჩიძე, ო. შალამბერიძე...

ახალციხიდან სტუმრები ასპინძის რაიონისაკენ მიემგზავრებიან.

ასპინძა. ხოფილ რუსთავში დიდი მგოსნის ძეგლთან გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა პარტიის ასპინძის რაიკომის პირველმა მდივანმა თ. პატიაშვილმა და სიტყვა მისცა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანს ი. ნონეშვილს. მან შეკრებილთ მიუღოცა პოეზიის დღე — რუსთაველის დღე და წაიკითხა ლექსი მეგობრობაზე.

სიტყვებით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მ. ლორთქიფანიძე, კომპოზიტორი ვ. მაღრაძე, ახალციხის რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგე ვ. კოპაძე, პარტიის ადგილის რაიკომის მდივანი თ. ბარბლიშვილი, ახალქალაქის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე თ. ლაზარაშვილი, ბოგდანოვკის რაიონის სოფელ განძანის ვ. ტერიანის სახლ-მუზეუმის დირექტორი ვ. თანგომიანი.

შემდეგ მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიან და ლექსებს კითხულობენ პოეტები: კ. კალაძე, ი. თარბა, ფ. ხალვაში, ნ. გაბრიჩიძე, ვ. გორგაძელი, ო. შალამბერიძე, ა. ტაბატაძე, ბ. არაბული, ჯ. ინჯია, ჯ. ქათამაძე, ნ. ხვედელიძე, ი. ნებაძე, შ. კედლეშვილი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ჩუნჩხის 80 წლის კოლმეურნე არჩილ ლომსაძე და „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნე, ასპინძის რაიონის სოფელ ჭობარეთის 74 წლის კოლმეურნე, არჩილ ჯვარიძე, რომელიც კითხულობს ნაწყვეტს პოემიდან.

ზეიმი გვიან საღამომდე გრძელდებოდა. სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა და ეწვივნენ ვარძიას.

შ. მაისურაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ქვეყნის სიჯაგუკე

ახალგაზრდა ქართველი მხატვრების გაპარჯვება საკავშირო გამოფენაზე

მოსკოვში, ცენტრალურ საგამოფენო დარბაზში საზეიმოდ დაიხურა ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევართა საკავშირო გამოფენა — „ჩვენი ქვეყნის სიჭაბუკე", რომელიც მოეწყო საბჭოთა კავშირის კულტურის სამინისტროს, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით. საგამოფენო კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში იყვნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მხატვრები, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები: ტ. სალახოვი, ა. პოხდარენკო, ა. გრეკოვი, ე. კიბრიკი, დ. მოჩალსკი, დ. შმარინოვი, ა. ვასილიევი და სხვ. მათ საუკეთესო შეფასება მისცეს ახალგაზრდა მხატვართა ნამუშევრებს, აღინიშნეს სურათების მოქალაქეობრივი პათოსი და გმირული სული. ახალგაზრდა მხატვართა შემოქმედებაში ფართო ადგილი უჭირავს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს გიგანტურ მშენებლებს, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტექნიკური ინტელიგენციის გმირთა პორტრეტებს.

სასიხარულოა აღინიშნოს, რომ დაჯილდოებულთა შორის არის ჩვენი რესპუბლიკის 17 ახალგაზრდა მხატვარი. ისინი დაჯილდოვდნენ გამოფენის პრიზებით და სპეციალური ჯილდოები გადასცა საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ნ. პოხომარიო